კონსულტანტი ადასტურებს, რომ რამდენადაც ცნობილია პროექტები, მასალები, დოკუმენტების და გამოყენების ან მუშაობის მეთოდები, რომელიც მითითებულია კონსულტანტის მიერ, იქნება ყველა სახელმწიფო და კანონქვემდებარე ბრძანების, წესდების, რეგულაციების და მოთხოვნების შესაბამისი, რომელიც გამოყენებულ იქნება პროექტის ფარგლებში და არ დაარღვევს ნებისმიერი პატენტის, დარეგისტრირებული პროექტის, საავტორო უფლებას ან სხვა დაცული უფლებას.

კონსულტანტი ადასტურებს, რომ ხელშეკრულების გაფორმების დღისთვის არ არსებობს ინტერესთა კონფლიქტი და სავარაუდოდ არ წარმოიშვება ხელშეკრულების ფარგლებში მისი ვალდებულებების შესრულების დროს გარდა იმ შემთხვევისა, რომელიც წინასწარ იქნება წერილობით გამჟღავნებული კლიენტისთვის და კლიენტის მიერ დათანხმებული. თუკი ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წარმოიშვება ნებისმიერი კონფლიქტი ან ინტერესთა კონფლიქტის საშიშროება, კონსულტანტი ვალდებულია წერილობით აცნობოს კლიენტს დაუყოვნებლივ კონფლიქტის რისკის თაობაზე.

5.0. პროგრამა

5.1. პროგრამის განხორციელების პერიოდები

პერიოდი რომელიც დაშვებულია მომსახურებების ეტაპების შესრულებისთვის როგორც მითითებულია დანართი „ა“-ში შეესაბამება დანართი „ბ“-ში მითითებულ დროს. მითითებული პერიოდი არის ფიქსირებული დრო და მისი დარეგულირება შესაძლებელია, მხოლოდ წერილობით კლიენტის და/ან პროექტის მენეჯერის მიერ კონსულტანტთან შეთანხმებით.

კონსულტანტი გამოიყენებს დიდ მონდომებას და სხვა კონსულტანტებთან ერთად შეასრულებს მომსახურებებს დადგენილ დროში და აცნობებს კლიენტს, როდესაც იგი შეიტყობს სხვა ქმედების შესრულების აუცილებლობას სხვა მხარეებისგან, ორმხრივად შეთანხმებული პროგრამის უზრუნველსაყოფად.

[illegible]ების დეტალური პროგრამა

[illegible] პროექტირების ეტაპის დაწყებამდე, კონსულტანტი ვალდებულია მოამზადოს [illegible]პროექტების დეტალურ პროგრამა, კლიენტის და/ან პროექტის მენეჯერისთვის, და/ან კლიენტის წარმომადგენლისთვის განხილვისთვის და დასამტკიცებლად. პროგრამა საკმარისი იქნება კლიენტისთვის და პროექტის მენეჯერისთვის და/ან კლიენტის წარმომადგენლისთვის რათა თვალყური ადევნოს სამუშაოების სტატუსს და სადაც როგორც მინიმუმ გათვალისწინებული იქნება სხვა დაპროექტების პრინციპები, ეტაპები და კლიენტის განხილვის და დამტკიცების ხანგრძლივობა.

5.3. შეჩერება/შეყოვნების შესახებ შეტყობინება

კონსულტანტი დაუყოვნებლივ აცნობებს კლიენტს, როგორც კი შეიტყობს ინფორმაციას ნებისმიერი შეყოვნების ან შეჩერების შესახებ, რომელიც გამოწვეულია კლიენტის ან სხვა მიზეზით და რომელიც შესაძლებელია მოხდეს პროექტის დაპროექტების და/ან განხორციელების დროს და ასევე იგი აცნობებს კლიენტს სამუშაოს შეჩერების ხელშემწყობ მიზეზებს.

6.0 პროექტის მენეჯერის როლი

6.1. ინსტრუქციები

როგორც კი მოხდება პროექტის მენეჯერის დანიშვნა კლიენტის მიერ, იგი დაიწყებს მუშაობას როგორც კლიენტის წარმომადგენელი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება დაპროექტების და სამშენებლო პროცესების ხელმძღვანელობით. პროექტის მენეჯერს შეუძლია მითითებები მისცეს კონსულტანტს მომსახურებებთან დაკავშირებით და კონსულტანტი ვალდებულია შეასრულოს ეს მითითებები.

თუ პროექტის მენეჯერი მიუთითებს კონსულტანტს შეასწოროს შეცდომები ან დეფექტები რომელიც აღმოჩენილია კონსულტანტის მიერ მომზადებული ნახაზებში, სპეციფიკაციებში და სხვა დოკუმენტებში, მაშინ კონსულტანტი ვალდებულია შეასრულოს ეს მითითებები

[illegible] ვადაში და თავიდან გამოსცეს ნახაზები, სპეციფიკაციები და სხვა [illegible] საკუთარი ხარჯებით.

6.2 ცვლილებები მომსახურებებში

პროექტის მენეჯერს შეუძლია მითითებები მისცეს კონსულტანტს მომსახურებებში ცვლილებების (მათ შორის დამატებები და რედაქტირება)შეტანასთან დაკავშირებით და ეს ცვლილებები გახდება მომსახურებების ნაწილი ყოველი მითითების გაცემის შემდეგ. არცერთი ცვლილების შეტანა არ იქონიებს გავლენას ან არ გააუქმებს წარმოდგენილ ხელშეკრულებას.

თუ პროექტის მენეჯერი მიუთითებს კონსულტანტს შეიტანოს არსებითი ცვლილება მომსახურებებში, რომელიც გულისხმობს პუნქტი 2.8-ში მითითებული ცვლილებისგან განსხვავებულ სხვა ცვლილებებს, პროექტის მენეჯერი და კლიენტი უნდა შეუთანხმდეს კონსულტანტს შესაბამის ანაზღაურებაზე რომელიც საჭირო იქნება ამ ცვლილებების შესასრულებლად, დანართი „დ“-ში მითითებული გასამრჯელოს ან საათობრივი ანაზღაურების საფუძველზე. საათობრივი ანაზღაურების შემთხვევაში პროექტის მენეჯერს ან კლიენტს შეუძლია დაადგინოს ზედა ზღვარი რომელსაც კონსულტანტმა არ უნდა გადააჭარბოს კლიენტის და პროექტის მენეჯერის წინასწარი თანხმობის გარეშე.

6.3. დასტური, რომელიც არ იქონიებს ნეგატიურ გავლენას კონსულტანტის ვალდებულებებზე,

პროექტის მენეჯერის მიერ, ნებისმიერი დასტურის, დირექტივის ან მითითების გაცემის შემთხვევაში, ხელშეკრულების ფარგლებში და კონსულტანტის მიერ მისი პირობების დაცვის შემთხვევაში, კონკრეტულად მითითებული განსხვავებული მოთხოვნების გარდა, არ განთავისუფლებს ან არ ამცირებს კონსულტანტის ერთადერთ პასუხისმგებლობას მომსახურებების შესრულებისთვის.

6.4. პროექტის მენეჯერის წარმომადგენელი

[illegible] მითითებულია ხელშეკრულების ქვე-თავში 2.5 არის პროექტის მენეჯერის უფლებამოსილი წარმომადგენელი ხელშეკრულების ყველა მიზნებისთვის. პროექტის მენეჯერს შეუძლია ნებისმიერ დროს შეცვალოს მისი უფლებამოსილი წარმომადგენელი კონსულტანტისათვის განმარტების ან მითითების მიცემის გარეშე კონსულტანტისათვის წერილობითი შეტყობინების გაგზავნით.

7.0 ოპერატორის როლი

კლიენტის მიზანს წარმოადგენს ხელშეკრულების გაფორმება საერთაშორისო სასტუმროს ოპერატორთან 5 ვარსკვლავიანი სასტუმროს აშენებისთვის და მასთან დაკავშირებული საკითხებისთვის. ეს შეიძება მოხდეს კონკურსის წესით, რომელიც ჩაუტარდებათ პოტენციურ ოპერატორებს წინასაპროექტო ეტაპის დასრულების შემდეგ, როგორც მითითებულია დანართი „ა“-ში. კლიენტმა უნდა შეასრულოს დამტკიცებული ოპერატორის პროექტის და საინჟინრო მოთხოვნების გაერთიანება მთლიან პროექტში.

კონსულტანტი შესაბამისად პასუხისმგებელია ოპერატორის მოთხოვნების მართვაზე, ინტეგრაციაზე და შესრულებაზე სამუშაოს საბოლოო პროექტში და ობიექტის მშენებლობაში. საჭირო საქმიანობაში შევა ოპერატორის მოთხოვნების განხილვა, რჩევების უზრუნველყოფა კლიენტისთვის და პროექტის მენეჯერისთვის მოთხოვნებთან შესაბამისობისთვის და შეთანხმებული მოდიფიკაციების და/ან ცვლილებების დაგეგმვისთვის და მართვისთვის. კლიენტი კონსულტანტს გადასცემს ოპერატორის მოთხოვნას, მაგრამ აქამდე კონსულტანტი გამოიყენებს სასტუმროების ქსელის ჰაიტ რეგენსის მოთხოვნებს.

როგორც კი ფაქტიური ოპერატორისგან კონსულტანტი მიიღებს მოთხოვნებს მეორე ეტაპის შუაში, კონსულტანტი ჩართავს ამ მოთხოვნებს მის პროექტში დამატებითი ხარჯების გარეშე.

იმ შემთხვევაში თუ ოპერატორის მოთხოვნები მიეწოდება კონსულტანტს მეორე ეტაპის შუა პერიოდის გასვლის შემდეგ, ნებისმიერი ხელახალი პროექტირება, რომელიც გამოწვეულ იქნება მოთხოვნების დაგვიანებით მიწოდებით ჩაითვლება, როგორც დამატებითი სამუშა მუხლი 2.8.-ის თანახმად.

მხარეების ხელმოწერა:

ხელმოწერილია კლიენტის: Rustaveli Property Ltd-ის სახელით

მინდია გადაევი ----------

თარიღი ----------

ხელმოწერილია კლიენტის: Reardon smith Architects Limiter-ის სახელით

პატრიკ რეარდონ ----------

თარიღი ----------

დანართი „ა“

კონსულტანტის მიერ შესასრულებელი მომსახურებები

პროექტი

ობიექტი მდებარეობს თბილისის საქმიან ცენტრში, დედაქალაქის ორი ისტორიული უბნების: მთაწმინდა და გარეთუბნის საზღვარზე. აშენებულია რა 1900-იანებში, ობიექტი შედგება ორი ელეგანტურად შეერთებულ 3 სართულიანი შენობისგან, რომელშიც შედის ორი დონის მართკუთხა ეზო. თავდაპირველად აქ მდებარებდა საქართველოს ვაჭრობის კავშირი და შედარებით ბოლო პერიოდში კი საქართველოს იუსტიციის სამინისტრო.

კლიენტის მიზანია განავითაროს ლუქსის ტიპის საერთაშორისო დონის სასტუმრო არსებული ისტორიული შენობის მოცულობის გაზრდით. ვინაიდან ისტორიულ-არქიტექტურული კვლევა ადგენს, რომ შენობების ფასადი წარმოადგენს ღირებულ ნაწილს მაშინ მხოლოდ დარჩენილი ნაწილის რეკონსტრუქციაა შესაძლებელი. წინასწარი სტრუქტურული კვლევა ასკვნის, რომ სტრუქტურის შიდა კედლები არის ძალიან ცუდ მდგომარეობაში და მნიშნელოვანია გავითვალისწინოთ შიდა კედლების დანგრევა და დამატებითი სართულებით ახალი სტრუქტურის მშენებლობა ისტორიული ფასადის შენარჩუნებით. ახალი სასტუმროს სახე აუცილებლად უნდა იყოს ჰარმონიულად შერწყმული ძირითად ისტორიულ ქუჩის პეიზაჟთან.

მშენებლობა მოხდება მთლიანად 15 000 კვ/მ-ზე და შენობაში იქნება 140 სასტუმრო ოთახი.

[illegible] განხორციელდეს შემდეგი ხუთი საპროექტო & დოკუმენტაციის მომზადების [illegible]

[illegible] საპროექტო მეთოდიკა / კონცეპციის გამომუშავება

ეტაპი 2: სქემატური დიზაინი

ეტაპი 3: პროექტის დამუშავება

ეტაპი 4: სამშენებლო დოკუმენტები

ეტაპი 5: ტენდერი და მშენებლობის ხელმძღვანელობა

2.0 ეტაპი 1: საპროექტო მეთოდიკა / კონცეპციის გამომუშავება

კლიენტის მიზნების საპროექტო მეთოდიკის საფუძველზე კონსულტანტი ვალდებულია დახმარება გაუწიოს ძირითადი საპროექტო მეთოდიკის საბოლოო დამუშავებას და პროექტისთვის მოამზადოს კონცეპციის დამუშავების პაკეტი. ამ ეტაპის პერიოდში კონსულტანტი ვალდებულია:

2.1 საპროექტო მეთოდიკა / კონცეპციის დამუშავება

2.1.01 ეწვიოს და დაათვალიეროს პროექტის ობიექტი ადგილობრივ აღმასრულებელ არქიტექტორთან ერთად: [1] ზოგადი ორიენტაციისთვის და ფორმალიზაციისთვის; [2] განხილვისთვის ხელმისაწვდომი არსებული მოთხოვნებისთვის, მათ შორის არსებული მდგომარეობის ნახაზები, მომიჯნავე მშენებლობები, კომუნალური საშუალებები და სხვა ინფორმაცია რომელიც გავლენას მოახდენს წარმოდგენილი პროექტის დაგეგმვაზე და მშენებლობაზე და [3] ადგილობრივი აღმასრულებელი არქიტექტორისგან ინფორმაციის მოგროვების მიზნით თბილისი არქიტექტურულ მომსახურებების მოთხოვნებთან დაკავშირებით რომელიც ეხება კულტურული მემკვიდრეობის შენობების დიზაინის და დაპროექტების პირობებს, ასევე ინფორმაციისთვის, რომელიც დაკავშირებულია სამშენებლო მასალებთან, მშენებლობის მეთოდებთან და ყველა ხელმისაწვდომ კოდექსის და დარაიონების კრიტერიუმებთან.

2.1.02 განიხილოს დაპროექტების მეთოდიკა, ობიექტის კვლევა და სხვა ობიექტის მონაცემები, რომელიც მოწყობილია კლიენტის მიერ პროექტის მოთხოვნების დასადგენად. კლიენტი ვალდებულია მოამზადოს იურიდიული აღწერილობა და ობიექტის და არსებული და დაცული შენობების დამოწმებული მიწის კვლევა ავტოკადის ფორმატში, რომელიც ზუსტად მიუთითებს [1] დონის აზევებას და ქუჩების, შესახვევების, ტროტუარების და მოსაზღვრე საკუთრების ხაზები; [2] გასასვლელი ზოლს, შეზღუდვებს, მშენებლობების შეზღუდვებს, აღდგენის მოთხოვნებს, სერვიტუტის უფლებას, დარაიონებას, კონტრაქტების შეზღუდვებს,

[illegible] და ობიექტის კონტურს; [3] ადგილმდებარეობას, განზომილებას და სრულყოფილ [illegible] რომელშიც შედის არსებული შენობები, სხვა გაუმჯობესებებს და ნარგავებს; და [4] სრულ ინფორმაციას ხელმისაწვდომ მომსახურებასთან დაკავშირებით და კომუნალურ ხაზებს, როგორც საჯარო და ისე კერძო, ზედა და ქვედა დონეს, მათ შორის სიღრმეზე.

2.1.03 იმუშაოს კლიენტთან, პროექტის მენეჯერთან მჭიდრო კავშირში და ზოგადად დაადგინოს დაპროექტების მეთოდიკა და დაადგინოს ინდივიდუალური პროექტის კომპონენტების ძირითადი ზომა და ხასიათი, მათ შორის სასტუმრო ოთახები, საზოგადოებრივი სივრცე, საკონფერენციო საშუალებები, საკვების და სასმელის სავაჭრო წერტილები, გასართობი ცენტრები, სახლის უკანა ტერიტორია და ავტოსადგომების ადგილი.

2.1.04 კლიენტთან და პროექტის მენეჯერთან ერთად მოამზადოს წერილობითი წინასწარი საპროექტო მეთოდიკა პროექტისთვის რომელშიც შევა [1] მთავარი ტერიტორიის ცხრილური მონაცემები, [2] პროექტის კომპონენტებთანა დაკავშირებული და მომიჯნავე ტერიტორიები; [3] ძირითადი საპროექტო მიზნების და ამოცანების აღწერილობა.

2.1.05 შეგროვილი მონაცემების საფუძველზე და კლიენტის მიერ დადგენილი საპროექტო მეთოდიკის თანახმად მოამზადოს პროექტის კონცეფციის პაკეტი სადაც შევა კონცეპტუალური გეგმა ესკიზის ფორმაში სადაც მითითებული იქნება [1] წარმოდგენილი პროექტის კომპონენტის ადგილმდებარეობის, განთავსების ადგილი და დამოკიდებულება; [2] ობიექტზე შესვლის ან გამოსვლის უფლება, [3] ადგილზე მოძრაობა, ქვეითად და სატრანსპორტო საშუალებით და [4] სხვა ხელმისაწვდომი გაუმჯობესებები ობიექტზე.

2.1.06 მომზადოს კონცეფციის საპროექტო ესკიზები და დიაგრამები, მათ შორის ობიექტის გეგმა, სართულის გეგმის სქემა-ჩონჩხი, დიაგრამული სექციები და პერსპექტიული ესკიზები რათა შეადგინოს მთლიანი საპროექტო კონცეფცია და პროექტის მიზანი. წარმუდგინოს აღნიშნული დოკუმენტები ადგილობრივი აღმასრულებელი არქიტექტორის დახმარებით თბილისის არქიტექტურულ სამსახურს წინასწარი დამოწმებისთვის და პროექტის პირობების მისაღებად.

2.1.07 ჩაატაროს პროექტის მეთოდიკის / კონცეფციის საპროექტო პაკეტის პრეზენტაცია კლიენტისთვის, პროექტის მენეჯერისთვის, სასტუმროს ოპერატორისთვის (თუ არჩეულია) და სხვა საპროექტო გუნდის წევრებისთვის რათა მოხდეს ერთი სქემის შერჩევა (1).

პროექტის დოკუმენტებში უნდა შევიდეს შემდეგი:

- წინასწარი წერილობითი აღწერილობა რომელიც განმარტავს პროექტის კომპონენტების დაპროექტების მიზანს.
- წინა-მოსამზადებელი ობიექტის გეგმა, 1 :500 მასშტაბი;
- სართულის გეგმა განზომილებებით ყველა ტერიტორიისთვის მათ შორის სარდაფისთვის. 1:200 მასშტაბი;

- [illegible]ების მშენებლობა მათ შორის სიმაღლის და აწგარიშსწორების ჩათვლით. 1:200 მასშტაბი;
- პერსპექტიული ესკიზები რომელიც აჩვენებს წარმოდგენილი არქიტექტურის ხასიათს.

2.2 ეტაპი 2: სქემატური პროექტი

კლიენტის განხილვის, კომენტარების და კონცეფციის საპროექტო პაკეტის წერილობითი დასტურის საფუძველზე, კონსულტანტი ვალდებულია შეასრულოს სქემატური პროექტი. ამ ეტაპის სამუშაო ორიენტირებულია პროექტის ყველა მოთხოვნების ამ სამუშაოში ჩართვაზე. ამ ეტაპის პერიოდში კონსულტანტი ვალდებულია:

2.2.01 დაესწროს ორგანიზაციულ შეხვედრებს მესაკუთრესთან, სასტუმროს ოპერატორთან და პროექტის მენეჯერთან: [1] განიხილოს ოპერატორების მოთხოვნები კონცეფციის პროექტთან წინააღმდეგ; [2] დახმარება გაუწიოს და შეხვდეს პროექტის გუნდის წევრებს, მათ შორის სამშენებლო ინჟინერს, მექანიკოსს/ელექტრიკოსს/წყალგაყვანილობის ინჟინერს, ინტერიერის დიზაინერს, ლანდშაფტის არქიტექტორს, სამზარეულოს/სამრეცხაოს კონსულტანტს, განათების კონსულტანტს, გრაფიკის დიზაინერს, აუდიო/ვიზუალურ კონსულტანტს, აკუსტიკის კონსულტანტს, ექსტერიერის კედლის კონსულტანტს (თუ საჭირო გახდება), ვერტიკალური ტრანსპორტირების კონსულტანტს (საჭიროების შემთხვევაში), საგზაო მოძრაობის კონსულტანტს.

2.2.02 ხელმეორედ განიხილოს კონცეფციის საპროექტო ნახაზები კომენტარების შეტანისთვის, რომელიც გაკეთდა კლიენტის, ოპერატორის ან ნებისმიერი სახელმწიფო, მუნიციპალური ორგანოების და/ან საჯარო სტრუქტურების მიერ.

2.2.03 შეადგინოს წინა მოსამზადებელი საპროექტო პროგრამა პროექტისთვის სხვა კონსულტანტების და კლიენტის მონაცემების ჩადებით.

2.2.04 ჩამოაყალიბოს მოცემული ობიექტის გეგმა სადაც ილუსტრირებული იქნება ყველა შემოთავაზებული პერსპექტივები, მათ შორის შენობები, სატრანსპორტო საშალების შესასვლელი და გამოსასვლელი, ქვეითების მოძრაობა და ხელსაყრელი პირობები, მოედნები და ლანდშაფტის ადგილები.

2.2.05 მოამზადოს ფერადი გეგმა სადაც ილუსტრირებული შენობების გარე ფასადის დიზაინის ძირითადი კონცენტრაცია და არტიკულაცია.

2.2.06 მომზადოს ტიპიური ყოველი სართულის გეგმა, ნებისმიერ შესაფერის მასშტაბში, მათ შორის:

- ტიპიური სასტუმროს მისაღები ოთახის სართულის გეგმა
- ყველა საჯარო & დამხმარე ნაგებობების გეგმა სართულზე

[illegible] ავტოსადგომის სართულის გეგმა.

[illegible] მომზადოს გაფართოებული ძირითადი გეგმები, ტიპიური გარე ლიფტების, ტიპიური [illegible]გრაგმული შენობის გადაკვეთის მონაკვეთების და ტიპიური კედის მონაკვეთის დიაგრამები რათა განისაზღვროს პროექტის მიზანი.

2.2.08 მომზადოს მოსამზადებელი მოწყობის განრიგები რათა გამოსახოს სართულის, კედლის და ჭერის მოწყობის დამხმარე ნაგებობისთვის ოპერატორის სტანდარტებთან შესაბამისობით.

2.2.09 მოამზადოს ტერიტორიის ცხრილური მონაცემები წმინდა და მთლიანი სამშენებლო ტერიტორიის კალკულაციისთვის.

2.2.10 მოამზადოს მასალის ნიმუშის სტენდი შემოთავაზებული შენობის გარე ფასადისთვის სადაც ნაჩვენები იქნება მოწყობა და ფერები.

2.2.11 იმუშაოს ადგილობრივ აღმასრულებელ არქიტექტორთან ერთად რათა დარწმუნდეს მოქმედი ადგილობრივი კოდექსის მოთხოვნებთან შესაბამისობაში და საჭირო დონეზე მოამზადოს დოკუმენტები პროექტის შესრულებისთვის და უზრუნველყოს ყველა საჭირო ინფორმაცია ადგილობრივ არქიტექტორისთვის ყველა შესაბამის ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანოებში წარსადგენად.

2.2.12 შეათანხმოს პროექტის ინჟინერ-კონსტრუქტორთან და ადგილობრივ აღმასრულებელ არქიტექტორთან იმისათვის, რომ მათ შეძლონ სტრუქტურული პროექტის სისტემის დამოწმება მათ შორის გრავიტაცია და გვერდითი ძალის ანალიზი და სვეტების ზომა და ადგილმდებარეობები, განივი დირეები და გვერდითი კედლები.

2.2.13 დაუკავშირდეს მექანიკოსს / ელექტრიკოსს / წყალგაყვანილობის ინჟინერს და ადგილობრივ აღმასრულებელ არქიტექტორს იმისათვის, რომ მათ დაამოწმონ და დაადასტურონ [1] პროექტის სირთულეები, [2] მთავარი მოწყობილობის ზომები, და[3] საჭირო სივრცე განაწილებისთვის და ტექნიკური დამხმარე შენობა, პროექტის განხორციელების პერიოდში.

2.2.14 უზრუნველყოს ლიფტის შესწავლა და დაადგინოს კრიტერიუმები ვერტიკალური ტრანსპორტირების სისტემისთვის, პასუხისმგებელ ინჟინერთან და ადგილობრივ არქიტექტორთან ერთად.

2.2.15 დაუკავშირდეს სამშენებლო ინჟინერს და ადგილობრივ აღმასრულებელ არქიტექტორს რათა მათ დაამტკიცონ კრიტიკული შენობის ლიფტების, დახარისხების და კომუნალური მომსახურებები.

2.2.16 წარუდგინოს სქემატური პროექტი ინტერიერის დიზაინერს და სპეციალურ კონსულტანტებს, როგორიცაა ლანდშაფტის არქიტექტორი, სამზარეულოს / სამრეცხაოს კონსულტანტი, განათების კონსულტანტი, გრაფიკის დიზაინერი, აუდიო/ვიზუალური

[illegible] აკუსტიკის კონსულტანტი, ექსტერიერის კედლის კონსულტანტი (მოთხოვნის შემთხვევაში), ვერტიკალური ტრანსპორტირების კონსულტანტი (მოთხოვნის შემთხვევაში), [illegible] მოძრაობის კონსულტანტი (მოთხოვნის შემთხვევაში).

2.2.17 განიხილოს სქემატური პროექტის ნახაზები პროექტის მენეჯერთან და კლიენტის ინჟინერ-მწარმოებელთან რათა დაადგინონ მშენებლობის მეთოდები, პროექტის ბიუჯეტი და დაამტკიცონ მშენებლობის განრიგი.

2.2.18 ყოველთვიურად მოაწყოს პრეზენტაცია სქემატური დიზაინის ეტაპის დროს კლიენტისთვის, სასტუმროს ოპერატორისთვის, პროექტის მენეჯერისთვის და სხვა პროექტის გუნდის წევრებისთვის სხვა პრინციპების დამტკიცების, კომენტირების და კოორდინაციის მიზნით.

2.2.19 მიაწოდოს ინფორმაცია სხვა კონსულტანტებს ხარჯთაღრიცხვის მომზადებისთვის.

პროექტის მისაწოდებელ დოკუმენტში შედის შემდეგი:

- წერილობითი აღწერილობა სადაც განმარტებულია პროექტის მიზნები;
- წინა-მოსამზადებელი ობიექტის გენერალური გეგმის მომზადება, 1 :500 მასშტაბში;
- წინა-მოსამზადებელი სართულის გეგმების მომზადება ყველა ტერიტორიისთვის, 1:100 მასშტაბში;
- ექსტერიერის მოსამზადებელი ლიფტები, 1:100 მასშტაბში;
- მოსამზადებელი განივად და გრძივად გადებული შენობის სექციები, 1:100 მასშტაბში;
- წინა-მოსამზადებელი ფასადის სექციები და შესწავლა;
- მოსამზადებელი ტერიტორიის ცხრილი;
- სახანძრო ნაწილების დაყოფის ნახაზები
- მოწყობის და მასალის სექციის განრიგის გამოსახვა;
- პროექტის კომპიუტერულად წარმოებული სურათები (CGI).

2.3 ეტაპი 3: პროექტის დამუშავება

კლიენტის მიმოხილვის, კომენტარების და სქემატური პროექტის დოკუმენტების წერილობითი დამტკიცების და მათი ავტორიზაციის საფუძველზე, პროექტის დამუშავებისთვის, კონსულტანტი ვალდებულია:

2.3.01 მოაწყოს სქემატური პროექტის ნახაზების ადგილობრივო არქიტექტურული დოკუმენტები კოორდინაციის და შემდგომი დამუშავების მიზნით.

2.3.02 განიხილოს პროექტის პროგრამა კლიენტთან და კონსულტანტებთან და დაგეგმოს შეხვედრის თარიღები პროექტის გუნდისთვის და კლიენტის დასწრებისთვის.

[illegible]ებები შეიტანოს, განაახლოს და დაამუშაოს ნახაზები და დოკუმენტები სადაც [illegible] კლიენტის და ოპერატორების კომენტარები რომელი მიღებულია დამტკიცებულ [illegible] საპროექტო დოკუმენტში.

2.3.04 უზრუნველყოს ინჟინერის, კონსტრუქტორის და ინჟინრების და ადგილობრივია არქიტექტორის უწყვეტი ჩართვა პროექტის დამუშავების ნახაზებში.

2.3.05 დაუკავშირდეს ადგილობრივ აღმასრულებელ არქიტექტორს და მექანიკოსს / ელექტრიკოსს / წყალგაყვანილობის ინჟინერს რათა მოამზადონ და სისრულეში მოიყვანონ გათბობის, სავენტილაციო და კონდიცირების სისტემები, წყალსადენი სისტემა, სიცოცხლის უსაფრთხოება, ელექტრო და ლიფტის ნახაზები, რომელიც შეიცავს დანადგარების და საკონფერენციო ოთახების სქემას, ერთი ხაზის მომსახურებების ნახაზებს და დიაგრამებს ყველა პროექტის დონისთვის.

2.3.06 დაუკავშირდეს ინტერიერის დიზაინერს კონსულტანტის პროექტის დამუშავების პაკეტის მომზადების პროცესში და შეიტანოს ყველა შესაბამისი დეკორის დეტალები, რომელიც გავლენას მოახდენს ძირითად შენობაზე.

2.3.07 დაუკავშირდეს სამზარეულოს/სამრეცხაოს კონსულტანტებს სამზარეულოს და სამრეცხაოს დანადგარების მოსამზადებელი სქემისთვის დამტკიცებული არქიტექტურული გეგმების საფუძველზე და ასევე გაითვალისწინოს აკუსტიკის და ვერტიკალური ტრანსპორტირების კონსულტანტების ძალისხმევა.

2.3.08 მჭიდროდ ითანამშრომლოს ადგილობრივ არქიტექტორთან ადგილობრივი დაშვებული კოდექსის მოთხოვნებთან შესაბამისობისთვის და პროექტის დამუშავების პაკეტის შედგენისთვის რათა ადგილობრივმა არქიტექტორმა წარადგინოს სამშენებლო დოკუმენტაცია და ნებისმიერი საჭირო დოკუმენტი სახელმწიფო ორგანოებში დამამტკიცებლად. ითანამშრომლოს ადგილობრივ არქიტექტორთან და უზრუნველყოს საჭირო განმარტება რათა დაეხმაროს მათ სპეციფიკაციის მომზადებაში რომელიც აღწერს არქიტექტურულს სამუშაოებს, ძირითადი სისტემების & მოწყობის სამუშაოს შესრულების კრიტერიუმებს და მშენებლობის მეთოდებს.

2.3.09 განიხილოს პროექტის დამუშავების ნახაზები კლიენტის პროექტის მენეჯერთან და ხარისხის მარეგულირებელთან სამშენებლო მეთოდების, პროექტის ბიუჯეტის და მშენებლობის განრიგის სისრულეში მოსაყვანად.

2.3.10 კლიენტის წერილობითი თანხმობის შემთხვევაში, კონსულტანტს შეუძლია ზედამხედველობა გაუწიოს შემოთავაზებული პროექტის დეტალურ არქიტექტურულ მოდელს და ასევე ექსტერიერის და ინტერიერის პროფესიონალურ მოწყობას. მოდელის და მოწყობისთვის საჭირო ხარჯებს გაიღებს კლიენტი.

არაატაროს ყოველთვიური შეხვედრები პროექტის დამუშავების ეტაპზე კლიენტთან, პროექტის მენეჯერთან, სასტუმროს ოპერატორთან და პროექტის გუნდის სხვა წევრებთან დამტკიცების, კომენტირების და კოორდინაციის მიზნით.

პროექტის გადასაცემი დოკუმენტები შედგება შემდეგისგან:

- წერილობითი აღწერილობა, სადაც განმარტებულია პროექტის მიზანი;
- ობიექტის გეგმა (სადაც ნაჩვენებია საფეხმავლო გზები, ავტოსადგომები, გადახურვის დონეზე ლიფტები, კლასიფიკაცია, ნარგავების ადგილები, ლანდშაფტი) 1:500 მასშტაბში;
- ყველა დონის სართული მათ შორის სახურავის გეგმა 1:100 მასშტაბში;
- ყველა დონის გამოსახული ჭერი (ინტერიერის დიზაინერთან შეთანხმებით) 1:100 მასშტაბში;
- გარე ფასადის ნახაზი და ამას დამატებული მთლიანი და სპეციალური ადგილების დეტალური ნახაზები 1:200 მასშტაბში;
- განივად და გრძივად გადებული შენობის სექციები, 1:100 მასშტაბში;
- გარე ფასადის კედლის სექციები, გეგმები და ტიპიური დეტალები 1:100 მასშტაბში;
- ფასადის სექციები და დეტალები 1:50 მასშტაბში;
- სატვირთო და სამგზავრო ლიფტის დეტალები. სხვადასხვა მასშტაბში
- შემდეგი დეტალების მოთხოვნის შესაბამისად მომზადება რათა ზუსტად მოხდეს აღწერა არქიტექტურის ექსტერიერის და ინტერიერის ელემენტების. სხვადასხვა მასშტაბში
- დეტალური უბნის ცხრილები
- სანტექნიკის მოწყობილობების ცხრილების გამოსახვა
- კარების და ფანჯრების ცხრილების გამოსახვა
- ყველა უბნის მოწყობის ცხრილის გამოსახვა
- რკინაკავეულობის / ტექნიკური უზრუნველყოფის ცხრილების გამოსახვა
- ადგილობრივ არქიტექტორთან ერთად სრულყოფილი ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების და შეზღუდული უნარის დაცვის უზრუნველყოფა.

ყველა ზემოთ მოცემული გამოსახული ცხრილების საბოლოო დასრულება და გამოცემა უნდა მოხდეს ადგილობრივი არქიტექტორის მიერ, როგორც საბოლოო სამშენებლო დოკუმენტაციის პაკეტის ნაწილი. მათი გადახედვა მოხდება, როგორც ეტაპი 4-ის კონსულტანტების მომსახურებების ნაწილი.

2.4 ეტაპი 4: სამშენებლო დოკუმენტები

კლიენტის განხილვის, კომენტირების და პროექტის დამუშავების დოკუმენტების წერილობითი დადასტურების საფუძველზე და მათი წერილობითი ავტორიზაციის თანახმად



[illegible]ების ინფორმაციის დოკუმენტების მომზადების დაწყებასთან დაკავშირებით, [illegible]ანტი ვალდებულია შეასრულოს შემდეგი:

[illegible] მიაწოდოს ადგილობრივ არქიტექტორს და ინჟინრებს პროექტის დამუშავების [illegible]ების ელექტრონული ფაილები სამშენებლო დოკუმენტების მომზადებისთვის [illegible]საყენებლად.

2.4.02 მოამზადოს სქემები და პროექტის ნახაზები მოთხოვნის შესაბამისად რათა დახმარება გაუწიოს ადგილობრივ არქიტექტორს სამშენებლო დოკუმენტების მომზადებაში. ეს შეთანხმება ეფუძნება 4 (ოთხი) თვიან სამშენებლო დოკუმენტის პერიოდს და საშუალებას იძლევა მაქსიმუმ 120 კაცი-საათის ჩართვაზე პროექტთან დაკავშირებულ საკითხებში.

2.4.03 მიაწოდოს ადგილობრივი არქიტექტორის სამშენებლო დოკუმენტების სამი (3) ფორმალური წერილობითი ფორმის მიმოხილვა 35% , 70% და 95% შესრულებით რათა უზრუნველყოს პროექტის მიზანთან შესაბამისობა. შეთანხმებულია, რომ კონსულტანტი მიიღებს ადგილობრივი არქიტექტორისგან სრულ სამშენებლო დოკუმენტაციას ზემოთ მითითებული ეტაპებზე, განხილვის და კოორდინაციის შეხვედრების გამართვამდე ორი (2) კვირით ადრე.

2.4.04 დაესწროს სამ (3) კრებას მშენებლობის დოკუმენტაციის ეტაპზე იმ დროებში, როგორც მითითებულია ადგილობრივი არქიტექტორის სამშენებლო დოკუმენტაციის 1.4.03 პუნქტში, კლიენტთან, პროექტის მენეჯერთან, სასტუმროს ოპერატორთან და პროექტის გუნდის სხვა წევრთან დამტკიცების, კომენტირების და კოორდინაციის მიზნით.

2.5 ეტაპი 5: ტენდერი და სამშენებლო დოკუმენტაცია

ადგილობრივი არქიტექტორის მიერ მომზადებული სამშენებლო დოკუმენტებზე კლიენტის დასტურის მიღების შემთხვევაში, კონსულტანტი ვალდებულია შეასრულოს შემდეგი:

2.5.01 დაუკავშირდეს ადგილობრივ არქიტექტორს ყველა სატენდერო დოკუმენტაციის მომზადებისთვის.

2.5.02 გამოარკვიოს და განიხილოს შემდეგი სამშენებლო ეტაპის პროგრესი შეთანხმებული დანართის შესაბამისად.

დანართი „ბ“

დროის განრიგი

გენერალური პროგრამა განახლდება და ხელახლა გამოიცემა კლიენტის, კლიენტის წარმომადგენლის და/ან პროექტის მენეჯერის მიერ როგორც პროექტის წარმატებით განვითარება. კონსულტანტი უნდა შეეცადოს შეიტანოს სხვადასხვა აქტივობების სავარაუდო

დასრულების დრო, დამატებითი რესურსების უზრუნველყოფით თუკი ეს ყოველივე მოეთხოვება კონსულტანტს. წამყვანი პროგრამის თარიღები არის შემდეგი:

დღეების და კვირის რაოდენობა, რომელიც მოცემულია ქვევით არის დაახლოებითი მაჩვენებელი მხოლოდ შეთანხმების დაჩქარების მიზნებისთვის. მოხდება დღეების გადახედვა და მხარეებთან შეთანხმება და დაემატება მოგვიანებით დანართის სახით.

პროექტის შესრულების ცხრილი

		კვირები
ეტაპი 1	I: დაპროექტების მეთოდიკა / დაპროექტების პრინციპები (კონსტრუქციული გადაწყვეტილება)	8
ეტაპი 2	ესკიზური პროექტი	24
ეტაპი 3	პროექტის დამუშავება	16
ეტაპი 4	სამშენებლო დოკუმენტაცია	16
ეტაპი 5	ტენდერი და მშენებლობის ხელმძღვანელობა	ექვემდებარება გადაწყვეტას

დანართი „გ“

შეხვედრების და ვიზიტების განრიგი

ქვემოთ მოცემული ოდენობა გამოთვლილია.

<u>ეტაპი 1:</u>

1 X ობიექტზე ვიზიტი (2 წევრისთვის):

ავიაბილეთი: $ 2,760 X 2 პირზე = $ 5,520 ;

დაბინავება: $ 250 X 2 ღამით X 2 პირზე = $ 1,000;

საარსებო ხარჯები: $ 400 X 2 ღამით X 2 პირზე = $ 1,600.

სულ ეტაპი 1-თვის $ 8,120 ოთხი კაცის ვიზიტისთვის.

<u>ეტაპი 2:</u>

2 X ობიექტზე ვიზიტი (2 წევრისთვის):

ავიაბილეთი: $ 2,760 X 2 პირზე X 2 ვიზიტისთვის = $ 11,040;

დაბინავება: $ 250 X 2 ღამით X 2 პირზე X 2 ვიზიტისთვის = $ 2,000;

საარსებო ხარჯები: $ 400 X 2 ღამით X 2 პირზე X 2 ვიზიტისთვის = $ 3,200.

სულ ეტაპი 2-თვის $ 16,240 რვა კაცის ვიზიტისთვის.

ეტაპი 3:

2 X ობიექტზე ვიზიტი (2 წევრისთვის):

ავიაბილეთი: $ 2,760 X 2 პირზე X 2 ვიზიტისთვის = $ 11,040;

დაბინავება: $ 250 X 2 ღამით X 2 პირზე X 2 ვიზიტისთვის = $ 2,000;

საარსებო ხარჯები: $ 400 X 2 ღამით X 2 პირზე X 2 ვიზიტისთვის = $ 3,200.

სულ ეტაპი 2-თვის $ 16,240 რვა კაცის ვიზიტისთვის.

ეტაპი 4:

ავიაბილეთი: $ 2,760 X 2 პირზე = $ 5,520;

დაბინავება: $ 250 X 2 ღამით X 2 პირზე = $ 1,000;

საარსებო ხარჯები: $ 400 X 2 ღამით X 2 პირზე = $ 1,600.

სულ ეტაპი 4-თვის $ 8,120 ოთხი კაცის ვიზიტისთვის.

ეტაპი 5:

ექვემდებარება განხილვას და გადაწყვეტას.

მთლიანი სამგზავრო ხარჯები 1-4 ეტაპებისთვის შეადგენს 48,720 აშშ დოლარს 24 პირზე

დანართი „დ“

კონსულტანტის ანაზღაურება და ანგარიშსწორების პირობები

ჰონორარი

1.0 კონსულტანტი უფლებამოსილია მიიღოს ჰონორარი ქვემოთ მოცემულ მომსახურებებზე როგორც მოცემულია დანართი „ა“-ში. ქვემოთ მოცემული გასამრჯელო არის ერთიანი გადახდა 1-4 ეტაპებისთვის, სადაც ნებისმიერი რეალური კლიენტი მოითხოვს პროექტში ცვლილებების შეტანას რომელიც მითითებული იქნება ცალ-ცალკე პუნქტი 3,0-ის შესაბამისად.

1-4 ეტაპებისთვის ერთიანი გადახდის თანხა შეადგენს: 482,000 აშშ დოლარს (ოთხას ოთხმოცდაორი ათასი).

გასამრჯელოში გათვალისწინებულია ყველა ქვემოთ მოყვანილი ხარჯები:

- ყველა ნახაზების ერთი (1) ბეჭდური ასლის დაბეჭდვა რეპროდუქცია, ექსტერიერის პერსპექტივების (ეტაპი 2-ის ჩათვლით) და სხვა საპრეზენტაციო მასალების მიწოდება

კლიენტისთვის, რომელიც მომზადებულია კონსულტანტის მიერ პროექტის გუნდის კრებებზე გასატანად.

- მასალის ნიმუშები პროექტისთვის რომელიც მოწოდებულია კონსულტანტის მიერ პროექტის გუნდის კრებაზე, მაგრამ ნიმუშებისთვის საჭირო ტრანსპორტირების ხარჯის გამოკლებით (რომელიც იქნება დამატებითი ხარჯები), და ასევე არ შედის მნიშვნელოვანი ღირებულების ნიმუშები რომელიც მოთხოვნილია კლიენტისგან.
- შორ მანძილზე ტელეკომუნიკაცია, მათ შორის სატელეფონო და ფაქსის საშუალებით ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე, რომელსაც კლიენტი, პროექტირების გუნდი, პროექტის გუნდი და სამშენებლო გუნდი იყენებს ყველა ძირითადი პროექტის კორესპონდენციისთვის. დოკუმენტის გადაცემის პროტოკოლის ადგილის უზრუნველყოფა პროექტირების გუნდისთვის, პროექტის გუნდისთვის და სამშენებლო გუნდისთვის ყველა დოკუმენტის ელექტრონული ვერსიის მიღებისთვის და ამობეჭდვისთვის, რომელიც მომზადებულია კონსულტანტის მიერ პროექტის ფარგლებში.

1.1 კონსულტანტი ასევე უფლებამოსილია მიიღოს ანაზღაურება ეტაპი 5-თან დაკავშირებით, რომელიც შეთანხმებული იქნება მხარეებს შორის ეტაპი 5-ის დაწყებამდე და შემდგომი თანხმობის არ არსებობის შემთხვევაში უნდა მოხდეს პუნქტი 1.1-ში მითითებული ჰონორარის გათვალისწინება. ჰონორარი შეადგენს 118,000 აშშ დოლარს.

1.2 პროექტთან დაკავშირებული ხარჯები (რომელიც შეადგენს 48,720 აშშ დოლარს) მომზადდება ინვოისის სახით ყოველი პირის მგზავრობის საკითხის გადამწვეტის შემთხვევაში, როგორც მოცემულია დანართი „გ“-ში.

პროექტის ხარჯებში გათვალისწინებულია:

- ბიზნეს კლასით მგზავრობა, დაბინავება და დაკავშირებული სამგზავრო ხარჯები დანართი „გ“-ს შესაბამისად, პროექტის გუნდის შეხვედრებზე დასასწრებად კლიენტის ან პროექტის ადგილზე.

1.3 ნებისმიერი პროფესიონალურად აშენებული არქიტექტურული მოდელის ღირებულება და დამატებით შესრულებული ინტერიერის და ექსტერიერის პერსპექტივები დაექვემდებარება დამატებით ანაზღაურებას.

1.4 ყველა ხარჯების გადახდა როგორც მითითებულია, ხდება კონსულტანტისთვის წმინდა ანაზღაურების ფორმით, ნებისმიერი გადასახადების გამოკლებით. ყველა თანხა მოცემულია აშშ დოლარში.

1.5 ინვოისი უნდა წარედგინოს კლიენტს ყოველთვიურად იმ თვეში შესრულებული სამუშაოს პროცენტულობის შესაბამისად. სამუშაოს შესრულების დღეები ეფუძნება დანართი „ბ“-ში მოცემულ პირობებს.

ინვოისის ცხრილი

ანგარიშსწორების განრიგი

ეტაპი 1:		
პირველადი გადახდა ამ თანხის მიღება შეესაბამება სამუშაოს დაწყებაზე რმა (RSA) ინსტრუქციას	$	12 000,00
ინვოისი უნდა მომზადდეს ეტაპი 1-ის შესრულების შემდეგ	$	48 000,00
მთლიანი გასამრჯელო ეტაპი 1-თვის	$	60 000,00
ეტაპი 2:		
ინვოისი უნდა მომზადდეს თანაბრად ყოველთვიური ანგარიშსწორებით.		
მთლიანი გასამრჯელო ეტაპი 2-თვის	$	210 000,00
ეტაპი 3:	$	
ინვოისი უნდა მომზადდეს თანაბრად ყოველთვიური ანგარიშსწორებით.	$	
მთლიანი გასამრჯელო ეტაპი 3-თვის	$	171 000,00
ეტაპი 4:	$	
ინვოისი უნდა მომზადდეს თანაბრად ყოველთვიური ანგარიშსწორებით.		
მთლიანი გასამრჯელო ეტაპი 4-თვის	$	41 000,00
ეტაპი 5:		
ინვოისი უნდა მომზადდეს თანაბრად ყოველთვიური ანგარიშსწორებით.		
მთლიანი გასამრჯელო ეტაპი 5-თვის *უნდა დადასტურდეს პროექტის მსვლელობიდან გამომდინარე*	$	118 000,00
მთლიანი ანაზღაურება ეტაპებისთვის 1 -5	$	600 000,00

დამატებითი მომსახურებები

კონსულტანტის ანაზღაურება ნებისმიერი დამატებითი სამუშაოსთვის რომელიც მითითებული იქნება კლიენტის მიერ მოხდება ორმხრივი მოლაპარაკების გზით ან შემდეგი კაცი-საათი გრაფიკით:

კადრების კატეგორია / პოზიცია	საათობრივი ანაზრაურება (აშშ დოლარში)
დირექტორის ასისტენტი	216
ტექნიკური დირექტორი	175
უფროსის დამხმარე	155
ასისტენტი	122
უფროსი ასისტენტი არქიტექტურულ საკითხებში	100

ასისტენტი არქიტექტურულ საკითხებში	90
ტექნიკოსი	95
ადმინისტრატორი	80

ეს არის ფიქსირებული ტარიფები პროექტის მოქმედების პერიოდში.

კონსულტანტი ვალდებულია შეიტანოს ოქმში ყოველ ავტორიზებულ დამატებით სამუშაოზე დახარჯული დრო და წარმოადგინოს კალკულაცია ინვოისთან ერთად.

დანართი „ე“

დოკუმენტების და ნახაზების წარდგენა

1.0 ზოგადი დებულებანი

დოკუმენტების და ნახაზების შემდეგი რაოდენობის ბეჭდური ასლის და ციფრულ ფორმატში წარდგენა უნდა მოხდეს ინდივიდუალურ ეტაპებზე და უნდა იყოს მხოლოდ სახელმძღვანელოდ გამოყენებული. კონსულტანტმა უნდა მიაწოდოს საკმარისი ასლი რადგან გაამარტივოს დამტკიცების პროცესი იმის მიხედვით თუ „როგორ და როდის“ იქნება მოთხოვნა.
თუმცა, ასლების მთლიანი რაოდენობა უნდა შეესაბამებოდეს ინფორმაციის ხასიათს და არ უნდა აღემატებოდეს 5 კომპლექტს.

2.0 დოკუმენტების და ნახაზების რაოდენობა კლიენტის ინფორმაციისთვის და დამტკიცებისთვის.

<u>2.1 სქემატური პროექტი</u>

(ყველა დოკუმენტი)

კანონპროექტი A1/A3 5 ასლი

საბოლოო A1/A3 5 ასლი

ელექტრონული 1 ასლი

<u>2.2 პროექტის დამუშავება</u>

პროექტის საბოლოო ანგარიშები A1/A4 5 ასლი

პროექტის დოკუმენტები A1/A4 5 ასლი

ელექტრონული ვერსია 10 კომპლექტი

დანართი „ვ“

უფლების გადაცემის თაობაზე შეთანხმება

(ექვემდებარება დადასტურებას. კლიენტი უფლებას იტოვებს თავად წარუდგინოს კონტრაქტორის კონსულტანტი იმ შემთვევაში თუ კლიენტი გადაწყვეტს პროექტის გაგრძელებას, დიზაინის და მშენებლობის მიწოდების მეთოდოლოგიით. მხარეთა სურვილის შემთხვევაში, კლიენტი და კონსულტანტი შეთანხმდება უფლების გადაცემის პირობებზე).

თარგმანი სწორია.

თარგმნელი: ილონა [illegible]

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N150293518 *N150293518*
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	26.03.2015 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	დოკუმენტის თარგმანზე დიპლომირებული მთარგმნელის ხელმოწერის დამოწმება
ნოტარიუსი	ნინო ხოფერია
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. 28/2
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	+995 32 2 98 70 24
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	07591754810915 *07591754810915*

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: **www.notary.ge** ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: **+995(32) 2 66 19 18**

მე, ნოტარიუსი, ნინო ხოფერია, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს, მისამართზე: საქართველო, ქ.თბილისი, რუსთაველის ქ. № 28/2, **ვადასტურებ ინგლისური ენის უმაღლესი განათლების დიპლომის მქონე მთარგმნელის, ილონა ბერაიას** (დაბადებული 08.11.1976 წელს, პ/ნ 01012014181; მცხოვრები: თბილისი ვაზისუბნის IV მ/რ I კვ. კორ. 4 ბ. 26), **ხელმოწერის სინამდვილეს.**

I, Notary, Nino Khoperia, Whose notary office is located at: 28/2, Rustaveli Ave. Tbilisi, Georgia, certify herewith the authenticity of the signature of Ms **ILONA BERAIA**, translator with a English Language Higher Education Diploma, born on 08.11.1976, personal num. 01012014181, residing at: apt.264. building 4, I quarter, Vazisubani dist, Tbilisi.

მთარგმნელი გაფრთხილებულია, რომ პასუხს აგებს თარგმანის სიზუსტეზე და იგი იძლევა თარგმანის სისწორის გარანტიას.
The translator is warned about her responsibility for correctness of the translation and she guarantees the correctness of the translation.

დოკუმენტი შედგენილია ერთ ეგზემპლარად.

გადახდილია სახელმწიფო ბაჟი 4.36 (ოთხი ლარი და 36 თეთრი) ლარი, თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის სახელმწიფო ბაჟის შესახებ მთავრობის დადგენილების მუხლი 31, აგრეთვე დღგ თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა და 2 (ორი) ლარი დღგ-ს ჩათვლით სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის სახელმწიფო ბაჟის შესახებ 39-ე პ.1 მუხლის შესაბამისად.

ნოტარიუსი ნ. ხოფერია

Notary N. Khoperia

Hyatt Regency Hotel Project
Tbilisi, Georgia

Architect's Services

Acceptance of Works No 3
and Termination of Agreement
17 July 2018

As per Agreement **Ref: LHR-01-DA** dated 26 March 2012 between

Rustaveli Property Ltd, a company incorporated in Georgia under ID number 404406166, Represented by its Director ***Mr. Mindia Gadaevi*** (Hereinafter Called "The Client" on the one part)

AND

Reardon Smith Architects Limited, a company incorporated in England under registration number 3234832, Represented by ***Mr. Patrick Reardon*** (Hereinafter Called "The Consultant" on the other part)

1. The Consultant handed over and the Client has accepted the following works as per Schedule A of the Agreement:

Phase III: Design Development (partially)

- Written description to describe the design intent of the project.
- Site Plan (Including walkways, parking, roof level elevations, grading, planting areas, landscaping). Scale 1: 500
- Floor of all levels including roof plans. Scale 1:100
- Reflected Ceiling of all levels, (in coordination with Interior Designer). Scale 1:100
- Exterior elevations, plus details elevations of entries and special areas. Scale 1:200
- Transverse and longitudinal building sections. Scale 1:200
- Exterior wall sections, plans, and typical details. Scale 1:100
- Façade sections and details. Scale1:50

2. The cost of the above works as per Schedule D of the Agreement is USD 114,000 (one hundred and fourteen) and has been fully paid by the Client.

3. The Parties agreed to terminate the Agreement and whenever the Client will be ready to recommence the works, to renegotiate new terms of the contract for the completion of the remainder of the works outlined in the Annex 1.

4. The Parties confirm that they do not have any claims towards each other.

The Client	The Consultant
Mr Mindia Gadaevi	Mr Patrick Reardon

ჰაიატ რიჯენსის სასტუმროს პროექტი
თბილისი, საქართველო
არქიტექტურული მომსახურეობა

სამუშაოების მიღება ჩაბარების N3
და სამუშაების შეწყვეტის აქტი
17 ივლისი 2018 წ.

თანახმად 2012 წლის 26 მარტის **ხელშეკრულება: LHR-01-DA**

შპს რუსთველი ფროფერთი, საქართველოში რეგისტრირებული კომპანია ს.კ. 404406166, წარმოდგენილი მისი დირექტორის ბ-ნი მინდია გადაევის მიერ (შემდგომში „კლიენტი“) ერთის მხრივ

და

შპს რეარდონ სმით არქიტექტორები, ინგლისში, სარეგისტრაციო ნომერი 3234832, რეგისტრირებული კომპანია, წარმოდგენილი ბ-ნი პატრიკ რეარდონის მიერ (შემდგომში „კონსულტანტი“) მეორეს მხრივ

1. კონსულტანტმა ჩააბარა და კლიენტმა ჩაიბარა დანართი ა-ს მიხედვით შემდეგი სამუშაოები:

ფაზა III დიზაინის განვითარება (ნაწილობრივ)

- პროექტის დიზაინის მიმართულებების წერილობითი განმარტება
- გენ. გეგმა (ტროტუარის, პარკირების, სახურავების დონის ფასადების, გამწვანების, და ლანდშაფტის ჩათვლით), მასშტაბი 1:500
- ყველა სართულის გეგმა, მ.შ. სახურავი, მასშტაბი 1:100
- ყველა სართულის ჭერების გეგმა (ინტერიერის დიზაინერთან კოორდინირებით), მასშტაბი 1:100
- გარე ფასადები, პლიუს ფასადის შესასვლელების და სპეციალური ფართების დეტალები. მასშტაბი 1:200
- შენობის განივი და გრძივი ჭრილები. მასშტაბი 1:200
- ფასადისი ჭრილები და დეტალები. მასშტაბი 1:50

2. ზემოხსენებული სამუშაოების ღირებულება, ხელშეკრულების დანართი დ-ს მიხედვით, შეადგენს 114,000 (ას თოთხმეტი ათას) აშშ დოლარს, და სრულად არის გადახდილი კლიენტის მიერ.
3. მხარეები შეთნხმდნენ შეწყვიტონ **ხელშეკრულება** და როდესაც კლიენტი მზად იქნება განაახლოს სამუშაოები, შეთანხმდნენ კონტრაქტის ახალ პირობებზე რათა დასრულდეს დანართ 1-ში ჩამოთვლილი სამუშაოები.
4. მხარეები ადასტურებენ რომ ერთმანეთის მიმართ არ გააჩნიათ რაიმე მოთხოვნები.

კლიენტი
მინდია გადაევი
ხელმოწერა

კონსულტანტი
პატრიკ რეარდონ
ხელმოწერა

შპს რუსთაველი ფროფერტი
Rustaveli Property LLC

LOYAL CAPITAL GROUP

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის
სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს

21 ოქტომბერი 2019 წ.

თქვენს მიერ 2019 წლის 08 ოქტომბერს გამოტანილი გადაწყვეტილება N4699592, განცახდების ნომერი AR171040, მე-4 მუხლთან დაკავშირებით, გაცნობებთ, რომ 2012 წლის 26 მარტს, შპს რუსთველი ფროფერთის (ს.კ. 404406166), როგორც კლიენტი, და ინგლისურ კომპანიას Reardon Smith Architects (N3234832), როგორც კონსულტანტი, შორის დაიდო არქიტექტურული მომსახურეობის (პროექტის) შესახებ ხელშეკრულება LHR-01-DA, რომელიც დაკავშირებულია რუსთაველის გამზ N30-ში სასტუმრო ჰაიატ რიჯენსის განვითარების პროექტთან. ხელშეკრულება ინგლისურად, ნოტარიალურად დამოწმებული ქართული თარგმანით თანდართულია.

აღნიშნული ხელშეკრულების, მუხლი 2.6 შესაბამისად, მას შემდეგ რაც კლიენტი გადაუხდის კონსულტანტს შესრულებული სამუშაოების ღირებულებას, ყველა დოკუმენტი არის კლიენტის საკუთრება. ასევე ანაზღაურების მიღების შემდეგ, კონსულტანტის მიერ შესრულებული სამუშაოების საავტორო უფლებები გადადის კლიენტზე.

დამატებით წარმოგიდგენთ მხარეებს შორის 2018 წლის 17 ივლისს შედგენილ მიღება-ჩაბარების N3 და შეწყვეტის აქტს, რომლითაც დასტურდება რომ სამუშაოები არის სრულად ანაზღურებული და მხარეებს ერთმანეთის მიმართ პრეტენზიები არ გააჩნიათ.

შესაბამისად, შპს რუსთაველი ფროფერთი გახლავთ შ. რუსთველის გამზ N30 მდებარე არქიტექტურული ობიექტის მესაკუთრე და ასევე არქიტექტურული პროექტის საავტორო უფლების მფლობელი და არ საჭიროებს ავტორის რაიმე სახის თანხმობას.

გიდასტურებთ, რომ ხელშეკრულება LHR-01-DA ფარგლებში, ვკისრულობთ სრულ პასუხისმგებლობას საავტორო უფლებებთან დაკავშირებულ შესაძლო პრეტენზიებთან დაკავშირებით.

პატივისცემით
მინდია გადაევი
გენერალური დირექტორი

თბილისი 0159, ბ.პაიჭაზეს ქ.N11, დიღმის მე-3 კვ, სკ დინამო თბილისის ბაზა; ტელ +995 32 249 6777 (119), ელ. ფოსტა
Tbilisi 0159, N11, B. Paichadze Str, Dighomi 3d district, FC Dinamo Tbilisi Base, Tel : +995 32 249 7373; e-mail: mgadaevi@loyalcapital.com

ხელშეკრულება N 191118-01

არქიტექტორულ-საპროექტო მომსახურების შესახებ

მუხლი 1. ხელშეკრულების დადების ადგილი და დრო

1.1 წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია ქ. თბილისში 2018 წლის 19 ნოემბერს.

მუხლი 2. ხელშეკრულების მხარეები

2.1 ხელშეკრულების მხარეები არიან:

ერთი მხრივ, **შპს „რუსთაველი ფროფერთი“** (ს/ნ 404406166), მისი დირექტორის მინდია გადაევის სახით (შემდგომში **„დამკვეთად“** წოდებული) და

მეორეს მხრივ **შპს „სპექტრუმ”** (ს/ნ 405066841), წარმოდგენელი მისი დირექტორის ვაჟა აბუსერიძეს სახით (შემდგომში **„შემსრულებლად“** წოდებული)

ცალ-ცალკე წოდებული მხარედ, ხოლო ერთად მხარეებად

მუხლი 3. ხელშეკრულების საგანი

3.1 წინამდებარე ხელშეკრულებით „შემსრულებელი“ კისრულობს ვალდებულებას, გაუწიოს „დამკვეთს“ შემდეგი საპროექტო სამუშაო: ქ. თბილისში, შ. რუსთაველის გამზ. N30-ში დაგეგმილი სასტუმრო Hyatt-ის არქიტექტურული პროექტის (შემდგომში „პროექტად“ წოდებული) კორექტირება, დეტალიზაცია და შენობის ნაწილის ინტერიერის დიზაინის მომზადება, ხოლო „დამკვეთი“ ვალდებულია გადაუხადოს „შემსრულებელს” ამავე ხელშეკრულების მე-5 მუხლით შეთანხმებული საზღაური. **შესასრულებელი სამუშაოები და ეტაპები** დეტალურად არის აღწერილი ხელშეკრულების დანართ N1-ში.

მუხლი 4. ხელშეკრულების ვადა

4.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის და „შემსრულებლის“ მიერ ავანსის მიღების შემდეგ;

4.2 ხელშეკრულება მოქმედებს 24 თვის განმავლობაში ან, თუ სხვა რამ არ იქნება შეთანხმებული მხარეებს შორის, მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულების სრულად შესრულებამდე;

4.3 შესასრულებელი სამუშაოების თითოეული ეტაპის დასრულებისთანავე მხარეებმა ხელი უნდა მოაწეროს შესაბამის მიღება-ჩაბარების აქტს.

4.4 მხარეები თანხმდებიან, რომ იმ შემთხვევაში, თუ დამკვეთის მხრიდან არ მოხდევა შემსრულებლის მიერ მიწოდებული მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერა ან/და დასაბუთებული კომენტარის გამოთქმა შესრულებული სამუშაოსადმი, აქტის გადაცემიდან 10 კალენდარული დღის ვადაში, მიღება-ჩაბარების აქტი ჩაითვლება მიღებულად;

